საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 80
აპრილის 13, კვირა 1903 წ.
1877

ივერია

№ 80
აპრილის 13, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 8 მანეთად

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით--7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ქვრივი ქეთევან არსენის ასული გელაძისა, ფასია მახარეს ასული სამხარაძისა, იაგორ გრიგოლის ძე სელიმაშვილი და ზაქარია შართავა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი ძვირფასის მეუღლისას, მეორე სიძისას და დანარჩენნი დეიდაშვილისას

მიხეილ ივანეს ძის გელაძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდებზე ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე (ახალ არსენალის ქუჩაზე, საკუთარს სახლში № 31) დასაფლავება მოხდება ორშაბათს, 14 აპრილს, კუკიის სასაფლაოზე. გამოასვენებენ დილის 10 საათზე, წირვას მოასმენინებენ კვირაცხოვლის ეკკლესიაში. (2—93—2)

სპირიდონ გიორგის ძე სიხარულიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის ძმის

იორდანე გიორგის ძის სიხარულიძისას

დ სთხოვს მობრძანდნენ გვამის გამოსვენებაზე 11 აპრილს ქალაქ ქუთაისში, საიდანაც წაასვენებენ სად. სამტრედიიდან სოფ. ერკეთში.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 13 აპრილს, შუადღის 12 საათზე. (2—6.—2)

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—13)

ჟირარდის მანუფაქტურის
საწყობში

ლად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.

(100—52) დონერ—ლეიტცი.

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **გაზებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზარითურთ

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

ტფილისის კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

კამოევი.—საშ:რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი--კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. ხოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეოიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 46—8 ტელეფონი № 617

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისი, 13 აპრილი.

ამ ჟამად, როგორც სატახტო ქალაქების გაზეთები იუწყებიან, საერო განათლების სამინისტრო უკვე შესდგომია საშუალო სკოლის საბოლოოდ რეორგანიზაციის საქმეს. საშუალო სკოლის უმთავრესი საფუძველნი, რომელზედაც დამყარებული იყო ამ ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში მოზარდი ახალთაობის სწავლების საქმე, შეუფერებელი და უვარგისი გამოდგა თანამედროვე გართულებულ საზოგადოებრივ წესწყობილებისათვის. ცხოვრება გართულდა, საზოგადოებრივი წესწყობილების ვითარებანი საგრძნობლად შეიცვალნენ, ხოლო მოსწავლე ახალგაზდობის სწავლების სისტემა ისევ ძველი დარჩა, რამაც მოწინავე საზოგადოებასა და მწერლობაში ჯეროვანი კრიტიკა და მსჯელობა გამოიწვია. მწერლობამ თავის დროზე ხმა აღამაღლა, რომ საშუალო სკოლის აწინდელი მასულდგმულებელი ნიადაგი გაცვდა, რომ კლასსიკურ სისტემამ, ამ საშუალო სკოლების დიდ ღერძმა, რომელზედაც ტრიალებდა და ტრიალებს მოზარდი ახალთაობის განვითარების საქმე, თავისი ისტორიული მოწოდება შეასრულა, და ამიტომ იგი დაძველდა, თანამედროვე წესწყობილების მოთხოვნილებისათვის გამოუსადეგია.

მთავრობამ საზოგადოებისა და მწერლობის მიერ აღნიშნულ საქმის ვითარებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და მართლაც გენერალ-ადიუტანტის ვანოვსკის მინისტრობის დროს რუსეთის საშუალო სკოლების საქმე სრულიად სხვა მიმართულებას დაადგა, ძველი სწავლების სისტემა ერთიანად შეირყა, კლასსიკური სისტემის სალიკვიდაციო ხანა დღე-დღეზე ახლოვდებოდა, და მის ნანგრევებზე საშუალო სკოლა თანამედროვე გართულებულ წესწყობილების შესაფერ ორგანიზაციას მოელოდა.

გენერალ-ადიუტანტის ვანოვსკის მინისტრობიდგან გადადგომამ საქმის აღნიშნული ვითარება რამდენადმე შესცვალა. საერო განათლების სამინისტროს აწინდელ გამგებელმა მინისტრმა ზენგერმა უხერხულად დაინახა საშუალო სკოლის ასე ძირითადი შეცვლა, და ამიტომ ადვილად საფიქრებელია, რომ ვანოვსკის მიერ განზრახული პროექტი სავსებით არ განხორციელდება. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ უმთავრესი საფუძველნი საშუალო სკოლათა ცვლილებისა რომელიც ყოფილმა მინისტრმა განიზრახა, ამ ჟამადაც დაცული იქმნება, რადგან ამას სამართლიანად მოითხოვენ აწინდელი ცხოვრების გართულებულნი პირობანი, ხოლო ისეც ეჭვს გარეშეა, რომ კლასსიკური სისტემაც არ იქმნება უყურადღებოდ დარჩენილი.

ყოველ შემთხვევაში, საერო განათლების სამინისტრო, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ამ გაზაფხულს საბოლოოდ გადასწყვეტს საშუალო სკოლის რეორგანიზაციის საქმეს, საბოლოოდ გამოარკვევს ყველა იმ ცვლილებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს აწინდელ საშუალო სკოლის რეორგანიზაციას, მოზარდი ახალგაზრდობის გონებრივ განვითარების მომავალში უფრო ნაყოფიერად წასამართავად.

ამიტომ დღეს, როცა საშუალო სკოლების ბედი ან უბედობა საბოლოოდ სწყდება სამინისტროში, რუსეთის ყველა ერთგული მამულისშვილი, ყველა შეგნებული და გამოჩენილი პედაგოგი, რუსეთის ყველა საუკეთესო საერობო დაწესებულებანი და მათთან ერთად მწერლობა აწვდის სამინისტროს თავის მოსაზრებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს, სახელმწიფოს სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ საშუალო სკოლების განზრახული რეორგანიზაცია. სამინისტროც დიდის სიამოვნებით იღებს კერძო კაცების, ან საზოგადოებათა რჩევას და მოსაზრებას, როგორც სასურველს მასალას, რადგანაც მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ისეთის სამძიმო საქმის გადაწყვეტა, როგორიცაა მოზარდი თაობის სწავლა-განათლების მოწესრიგების საქმე, მარტოოდენ მთავრობას არ ძალუძს, ამ შემთხვევაში საჭიროა საზოგადოების ზნეობრივი დახმარება, საჭიროა თვით საზოგადოების, მოზარდი ახალგაზრდობის მშობლების, ადგილობრივი დაკვირვება, მოსაზრება და ამის მიხედვით საქმის საკეთილოდ რჩევა.

რუსეთის საზოგადოება და მასთან ერთად მწერლობა კარგა ხანია აწვდის სამინისტროს ამგვარ რჩევას და დახმარებას, ხოლო რაიცა შეეხება ამიერ კავკასიას ამ მხრით ჩვენ თავს ვერ მოვიწონებთ.

პედაგოგიის შეურყეველ ჭეშმარიტებად დიდი ხანია აღსარებულია, რომ სწავლის ნაყოფიერად წარმოება მხოლოდ მაშინაა შესაძლო, როცა მოსწავლეს მშობლის ენა საფუძვლიანად აქვს შეთვისებული, როცა სწავლების სისტემაში მშობლიო ენას ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული.

სამწუხაროდ, ამიერ კავკასიის საშუალო სკოლებში ადგილობრივი ენები თითქმის სრულიად განდევნილია და კიდევ დიდი ბარაქალა უნდა მიუძღვნათ ჩვენს მოწაფეებს, რომ, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ სულსა ღაფავენ მძიმე და აუტანელ უღლის ქვეშ. ამგვარ საქმის აწინდელი ვითარება ანორმალურია, ანტიპედაგოგიურია და თვით სახელმწიფო კეთილ დღეობისათვის საზიანოა.

„ივერიას" არა ერთხელ გამოუთქვამს ეს აზრი და დღესაც, ამ მარჯვე დროსაც, როცა საშუალო სკოლების ბედი სწყდება საბოლოოდ, იმ აზრისაა, რომ ადგილობრივის ენების სწავლება სავალდებულო უნდა იქმნეს ამიერ კავკასიის საშუალო სკოლებში, თუ გვინდა რომ ჩვენმა მომავალმა ახალმა თაობამ სწავლის უფრო მეტი ნიჭი და უნარი გამოიჩინოს, თუ გვსურს, რომ ჩვენი შვილები სახელმწიფოსა და სამშობლოს მეტ ბარგად არ გახდნენ.

ამ გარემოებას აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს, მთავრობას უნდა ვამცნოთ საქმის ამგვარი ვითარება, და უპირველესად, ჩვენის აზრით, ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამ, რომელმაც დაუყოვნებლივ, სწორედ ამ მარჯვე დროს, უნდა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ჩვენს საშუალო სკოლებში ადგილობრივ ენების სავალდებულოდ სწავლების შემოღების შესახებ.

ძველად ჩვენი წინაპარნი ხმლით ხელში საერთო კეთილდღეობის საქმეს ემსახურებოდნენ, და ჭეშმარიტად, დღევანდელ დღეს სწორედ სამარცხვინო იქმნება, რომ ამ თავდადებულთა შვილებმა ამ საერთო კეთილდღეობის საქმეს ღირსეულად არ ემსახურონ, მხოლოდ არა ხმლითა, არამედ უფრო მახვილი იარაღით, რომელსაც ჰქუა, განვითარება და წინ განმსჭვრეტელი აზროვნება ეწოდება.

ტფილისი

✦ ახტალის მონასტერთან დაარსებულ იქმნება ორ კლასიანი საეკკლესიო სკოლა საოსტატო კურსითურთ.

✦ თავსმჯდომარე ტფილისის სამოსამართლო პალატასა სენატორი ვრასსკი წუხელ გაემართა ჩრდილო კავკასიაში სესიაზედ და დარჩება იქ ათს დღეს.

✦ ბოდბის წმ. ნინოს მონასტერთან დაარსებულ იქმნება, როგორც ამბობენ, სამასწავლებლო დედათა სკოლა—სახელმწიფო ხარჯით.

✦ დღეს გაემგზავრა სამზღვარ-გარედ ცნობილი ოკულისტი ბ–ნი ტარსაიძე.

✦ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ადგილზე მის მეუფებას, საქართველოს ექსარხოსს უწმ. სინოდში ორი კანდიდატი წარუდგენია: არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) და მღვდელ-მონაზონი პიროსი (ოქროპირიძე).

✦ ფოთის სტამბაში დაისტამბა უკვე შემდეგი წიგნები:

1, „ღირსისა მამისა ჩვენისა აბბა დოროთის ცხოვრება", თარგმნილი XI საუკუნის დამდეგს ქართველის მთარგმნელის ევქთიმისაგან.

2, ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე სინას მთის მამასახლისისა, რომელ არს „კლემაქსი" ანუ „კიბე ცად მყვანი". ვრცელი ტომია. თარგმნილი XI საუკუნის დამდეგს ქართველის მთარგმნელის ექვთვიმე ქართველისაგან.

წიგნები გამოცემულია ათონის ახალ ქართველთ წმიდის იოანე ღვთის მეტყვლის სავანის ხარჯით და საფასით.

✦ ჩვენ ნამდვილად გავიგეთ, რომ ყ̃დ უსამღვდელოესი ალექსი, ექსარხოსი საქართველოისა მიემგზავრება გორს და იქიდან იმერეთს 14 აპრილს შუადღის მატარებლით ჹ არა 13, როგორც გვქონდა მოხსენებული გუშინდელს ნომერში. თან მიჰყვებიან დეკ. ვოსტორგოვი და იღუმენი გერასიმე და არა კანდელაკი სიონისა, მღვდ. ა. თოთიბაძე.

✦ ჩვენს წიგნის ბაზარს მაინც კიდევმა-

ტებიან მახინჯ წიგნების მბეჭდავნი. ამ უკანასკნელ დროს ზარიძემ, შახბერცოვმა და სხვებმა სწორედ საქმე გააჭირეს, მთელი ბაზარი უწმაწური წიგნებით გაავსეს. ამათ გამოცემულ წიგნებს კაცი კიდევ აიტანს როგორმე. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამათ გარდა სხვებიც ბევრნი არიან, რომელნიც ათას ნაირს მახინჯ წიგნებს ჰბეჭდავენ.

ეს წიგნები, იარმუკის გარდა, საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეშიაც-კი ვრცელდება. წიგნებს ატარებენ თვითვე და აჩვევენ ხალხს მავნებელ წიგნების კითხვას.

◆ სოფელ ვართაშენიდან (ნუხის მაზრა) მოგვივიდა ერთი უცნაური და დაუჯერებელი ამბავი, რომ ვითომ იქაურ სომეხ-გრიგორიანთა და მართ-მადიდებელ უდინთა შორის დიდი უსიამოვნობა მომხდარა აღდგომის მესამე დღეს უდინთ ჩვეულებად აქვთ გაეშართნენ ლიტანიით მახლობელ სამლოცველოსკენ. წელსაც ასე მოქცეულან. ამაზედ ვითომ გული მოსვლიათ სომხებს, შეიარაღებულან ვინ კეტით, ვინ სხვა იარაღით და დაჰრევიან ლიტანიითა და ქრისტე-აღდგას ღაღადებით მიმავალ უდინთ. სომხთა გაბრაზება და თავ-გასულობა იქამდე მივიდა, რომ ვითომ სცემეს უდინთა, შეურაცხყვეს მათი ხატები, სამღთო წიგნები და სულ ფეხ-ქვეშ თელეს ყოველივე მათნი სიწმინდენი.

◆ ცეცხლის მქრობელ რაზმის შენობის ასაშენებლად თავმჯდომარედ აღმასრულებელ კომისიას ამოურჩევია ქალაქის ხმოსანი ნ. ა. გრიქუროვი.

◆ ქალაქის გამგეობას დაუმზადებია სია იმათი, რომელნიც მომავალ შემოდგომას ამოიღებენ კენჭს სამხედრო ბეგარის მოსახდელად. ეს სია გამგეობას უკვე გადაუცია ქალაქის სამხედრო საკრებულოსათვის.

◆ 15 აპრილიდამ ტფილისში გამომცხვარი მესამე ხარისხის პური გაიყიდება სამ კაპეიკად.

◆ როგორც ამბობენ, ქალაქის გამგეობის წევრს ნ. პ. კოკჩაევს შეუდგენია გამგეობაში წარსადგენად მოხსენება იმის შესახებ, რომ ტფილისშიაც მოჰხდეს ერთ დღეს ხალხის აღწერა, როგორც ეს მოჰხდა ბაქოში.

◆ 20 აპრილს, პირველ ქალთა გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია კრება მასწავლებელთა და აღმზრდელთა ქალთა საზოგადოების წევრთა. კრებაზედ წაიკითხავენ ანგარიშს 1902 წლისას, მოხსენებას სარევიზიო კომისიისას, დაამტკიცებენ სმეტას 1903 წლისას, გარჩევენ იმას, თუ როგორ უნდა მოეწყოს ბავშვების სათამაშოებანი, ამოირჩევენ თავმჯდომარეს, მდივანს, ხაზინადარს, 2 გამგეს და 3 მათს კანდიდატს. კრება დაიწყება საღამოს 6 საათზედ.

◆ ამ დღეებში ბაქოს მოვა ლონდონიდგან ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ქ-ნი ნოვიკოვისა.

◆ 14 აპრილს საბჭოს კრებაზედ გაარჩევენ ქალაქის სასწავლებლების კომისიისაგან შემუშავებულ პროექტს, პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლეთათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ თამამშევის სახელობაზედ.

◆ ტფილისის უსინათლოთა სასწავლებლისათვის წარსულ 1902 წლის დეკემბრის და მიმდინარე 1903 წლის იანვრისა, თებერვლის და მარტის განმავლობაში შეუწირავთ ფული და სანოვაგე: ა. ნ. ფიშერს, ბოქაულს მეშვიდე საბოქაულოსას კ. გ. ამბარდანოვს, სოლომონ ლუხუნიშვილს, 45 მ. კასის განყოფილებისათვის პოლკოვნიკის ქალს ე. ნ. კამაევისას. კრებაზედ კავკასიის უსინათლოთა მზრუნველობის განყოფილებამ გადასწყვიტა გამოუცხადოს გულითადი მადლობა ყველას, ვინც შეწირულება გაიღო.

◆ ჩვენ გვთხოვს საბჭო უსინათლოთა მზრუნველობისა გამოვაცხადოთ, რომ 1 მარტიდგან 1903 წ. კასსაში იყო 16,986 მ. 54 კ. მარტში შემოვიდა ფულად 2,492 მ. 22 კ. სრულიად არის 19,478 მ. 76 კ. ამ თვეშივე დახარჯულია 2,670 მ. 88 კ. პირველ აპრილისათვის დარჩა 16,807 მ. 88 კ.

◆ 11 აპრილს, ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი წავიდა ყარსში.

◆ ამ დღეებში მცხეთის მახლობლად დაიწყობენ შენობის აგებას ტფილისის ობსერვატორიისათვის.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისის სახალხო სკოლების დირექტორი დიმიტრიევი სხვაგან გადაჰყავთ, მის ადგილზედ ჰნიშნავენ გამგეობის წევრს შესტაკოვს.

◆ ახლად გარდაცვალებულს იორდანე სიხარულიძეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის უანდერძებია ნაწილი თვისის ქონებისა.

◆ დღემდის გაბაევის ვიწრო ქუჩა უპატრონოთ არის დატოვებული. იქ ზაფხულ-ზამთრობით ძეუძლებელია სიარული, როცა თოვლი და ტალახია, თუმცა შიგ შუა ქალაქშია მოქცეული. ქალაქის გამგეობას აქნობადისინ არაფერი ყურადღება არ მიუქცევია ამ ქუჩისათვის. იმედია ეხლა მაინც შეიბრალებენ ამ ქუჩაზედ მცხოვრებლებს, და ქვას დააგებენ.

◆ გაზეთს „მშაკ“ს ატყობინებენ, რომ სოფელ ბაიღურში, ალექსანდროპოლის მაზრაში, პარასკევს 1 აპრილს, ერთი მესაზარავი მკვლელობა მომხდარა. ბაიღურში მცხოვრებელს ივ. ასლამაზოვს ეკლესიის კარებთან დაუკლავს თავისივე შვილი. ასლამაზოვს გამოუცხადებია, რომ ვაჟი ღმერთს შევსწირეო. ამ რამდენისამე წლის წინადო, უთქვამს, ძალიან ავად ვიყავი და ივანე ნათლის მცემელმა ღმერთან წამიყვანაო, ღმერთმა მითხრა, რომ შვილი გაგიჩნდება და მე უნდა შემომწიროო, მეც ველარ გავტეხე ღვთის ბრძანება და ჩემი შვილი ღმერთს მსხვერპლად შევწირეო.

◆ ამ დღეებში სოფ. დარკვეთში (შორაპნის მაზრა), ლევან გუგუნიშვილს მოუკლავს თავისსავე ძმისწულს. მკვლელობის მიზეზი მამულზედ ჩხუბი ყოფილა.

◆ მთელს რუსეთში სახელ-განთქმული და დაუძლეველი მოჭიდავე, ვილიამ მორი, რომელიც ეს ერთი ხანია ძმათა ნიკიტინების ცირკში ჭიდაობს და ბევრი საუკეთესო მოჭიდავეც გალახა, აპრილის რვას დაეჭიდა თელავის მაზრის სოფ. საბუეს მცხოვრებს დათიკო რუსიშვილს-მიქელაძეს, რომელმაც ხელის მოკიდების უმალვე ბურთივით ძირს დასცა. თუმცა წაქცევით ძალიან კარგად იყო წაქცეული, მაგრამ, როგორც თვით მორმა, ისე მისმა თაყვანის მცემლებმა, მოისურვეს ხელმეორედ ეჭიდავებინათ. ჯილდოდ დანიშნეს ხუთი თუმანი დამძლევისათვის. 11 აპრილს ხელმეორედ დაინიშნა მათი ჭიდაობა, მაგრამ დახეთ საკვირველებას! ის, ვისაც თავი მოჰქონდა თავისის მსხვილის მკლავებით და კისრით, ხელ-მეორედ დასცა დედა-მიწაზე მის მიერ ათვალისწინებულმა პატარა ქართველმა და ხალხის სისხლამ სკამებისკენ გადაჩეხა მოხერხებულის კისრულ-მოგვერდით.

რამდენიმე შენიშვნა

„სომეხთა საქმის“ გამო.

III

ჩვენ ხომ აღვნიშნეთ წინა წერილებში, როგორც გაჩნდა პირველად „სომეხთა საქმე“, როგორც საერთა-შორისო საგანი. მანამდის ოსმალეთის სომხობის ყოფა-ცხოვრებისათვის მხოლოდ პორტა ზრუნავდა და სხვა სახელმწიფო ამაში არ ერეოდა. რუსეთს ოსმალეთთან ომი მოუხდა და სტამბოლის ელჩმაც გრაფმა იგნატიევმა ეს შინაური საქმე ოსმალეთისა გარეთ გამოიტანა და შეჰქმნა სან-სტეფანოს ხელშეკრულობის მე-16 მუხლი, რაიცა, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ რუსეთს უნდა დაეხვია ხელზედ და თავის დროზე გამოეყენებინა. ევროპა ამაზე შეეცილა და ის, რაც ასე კარგად იყო დაწყებული რუსეთის სასარგებლოდ, თავისად გაიხადა, პირი თავისკენ უბრუნა. ამ გვარად სან-სტეფანოს ხელშეკრულობის მე-16 მუხლი ბერლინის ხელ-შეკრულობის მე-61 მუხლად შეიცვალა და მისის ძალით სომეხთა საქმე საერთაშორისო საქმედ გარდაიქცა. საქმით თუ არა, ფორმით მაინც.

როგორც ვხედავთ, არც ამ საქმის გაჩენაში და არც მის გაევროპიელებაში თვით სომხობას თითქმის არავითარი წილი არ უდევს და გარეგან მიზეზებითაა ხელოვნურად ყოველივე ესე შექმნილი. დიდად საეჭვოა, რომ სან-სტეფანოს ხელ-შეკრულობის მე-16 მუხლი რომ არ ყოფილიყო ევროპის თვალწინ, მე-61 მუხლი ჩაწერილიყო ბერლინის ტრაქტატში.

რა ყოფა-ცხოვრებაში იყო ოსმალეთის სომხობა იმ დროს, ესე იგი ამ ოცდა-ხუთი წლის წინად?

სომხობის გარდა ოსმალეთის იმპერიაში ბევრი სხვა ერიცაა და ყველანი ერთგვარად შეწუხებულნი იყვნენ მთავრობის უვარგისობით, მართვა-გამგეობის უწესრიგობით და აგრეთვე იმითაც, რომ ყველანი ერთმანეთს იმ თავითვე მტრობდნენ სარწმუნოებრივ, ეროვნულად და ზოგან კულტურულ განსხვავებითაც, მაგრამ, მაინც სხვებთან შედარებით, სომხობა, როგორც ყველაზე პრაქტიკული ხალხი, დანარჩენებზე უკეთ სცხოვრობდა ამ მაჰმადიანთ ქვეყანაში და მთავრობაც კარგის თვალით უყურებდა, ასეთი მორჩილი ხალხი თვით ოსმალებიც არ არიანო.

გაშტერდება ჩვენებური კაცი, რომ გაიცნოს დაწვრილებით მათი იმ დროის ყოფა ცხოვრება და განცვიფრებით იკითხავს: ნუ თუ მართალია, რომ ასეთ ყოვლად ჩამორჩენილ და დაქვეითებულ ორგანიზმში, როგორიცაა ოსმალეთის იმპერია, ამდენი შეღავათი და თავისუფლება ჰქონია მინიჭებული იქაურ სომხობას ცხოვრებაშიო? საქმე კი სწორედ ასე იყო. სარწმუნოება მთლად თავისუფალი იყო; სამღვდელოება თავის ნებით განაგებდა თვის საქმეს და თავისუფლად ირჩევდა თავის წარმომადგენლებს. სომხობას შეეძლო დაეარსებინა და აარსებდა კიდეც სომხურ დასაწყის და საშუალო სასწავლებლებს, სადაც უნდოდა, თავის საკუთარ პროგრამით; მთავრობა ამ საქმეში სრულიადაც არ ერეოდა და არ აძალებდა ოსმალურ ენის შესწავლას. მწერლობა, ჟურნალ გაზეთები სომხურ ენაზე თავისუფლად მოღვაწეობდა თვისის ერისათვის და არც კი იცოდა, რა არის ცენზურა; სომხობა ოსმალეთს არას დროს არ გაუყვანია სალდათად და მასთან ერთად ყველას ნებას აძლევდა იარაღი ჰქონოდა სახლში და გარეთ.

ასეთი იყო ეს გარეგანი პირობა ცხოვრებისა; ეკონომიურად ხომ თითქმის მთელი ოსმალეთი მათს ხელში იყო და ახლაცაა; ვაჭრობა-მრეწველობა, ბანკები, ათას-გვარი სააგენტო და საკომერციო დაწესებულება უმეტეს ნიწილად სომხობისა იყო და მოცილედ, სუსტ მოცილედ, მხოლოდ ბერძნები ჰყავდათ, ათასი მილიონები მათ ხელთ იყო.

არც გლეხობა იყო გაჭირებაში და როგორც უფრო მხნე და მომჭირნე ოსმალთ გლეხობაზე უკეთ სცხოვრებდა; მივუმატოთ ყველა ამას ასიც, რომ შიგ სტამბოლში სომხური პარლამენტი არსებობდა, Assemlée nationale, საერო კრება, სომეხთ ერის წარმომადგენელთაგან შემდგარი, რომელზედაც თავისუფლად ვარჯიშობდნენ მჭევრმეტყველობაში სომეხთ ორატორები და რომლის გარდაწყვეტილებას და სხვა-და-სხვა თხოვნას ილდიზ-კიოსკი გულ-მოდგინედ ისმენდა ყოველთვის.

გავითვალისწინოთ ყოველივე ეს, შევადაროთ ამას აწინდელი ყოფა-ცხოვრება, თუ გინდ გერმანელ პოლონელთა, და ვიკითხოთ: კიდევ რას ნატრულობდა სტამბოლის სომეხთ პატრიარქატი, ასე რომ აზვიადებდა თვის ლონდონელ მოხსენებაში სომხების ვითომცა და აუტანელ ყოფა-ცხოვრებას და სახელს უტეხავდა ისედაც სახელ გატეხილ ოსმალეთსა? და ისიც როდის, —როდესაც გაჭირება დაადგა და დიდი განსაცდელი მოელოდა ოსმალეთსა, რადგან თითქმის მთელი ბალკანეთის სლავიანები ბრძოლის ველზე იყვნენ გამოსულნი ოსმალეთთან საომრად და რუსეთიც მასთან საომრად ემზადებოდა.

მართალია, ზოგჯერ და ზოგან ქურთები აწუხებდნენ სომხობას, მაგრამ არც ოსმალებს აყრიდა ხეირს ეს ნადირი და მაწანწალა ხალხი, ამიტომ ბევრჯელაც მოჰხვედრია ოსმალთა ჯარისაგან. მასთან ერთად, როგორც უკვე ვთქვით, მთავრობისა და მართვა-გამგეობის უვარგისობაც მძიმე ტვირთად აწვა სომხობას; მაგრამ ამას ჰგრძნობდა მარტო სომხობა-კი არა, არამედ ყველა ერი ოსმალეთის იმპერიისა, ეროვნებისა და რჯულის განურჩევლად. ოსმალეთში, როგორც ახლა, იმ დროსაც არსებობდა „ახალ-გაზდა ოსმალთა“ დასი, რომელსაც მეთაურობდა მიდჰად-ფაშა, მეტად ნიჭიერი და განათლებული კაცი; თვისის პროგრამით დასი თხოულობდა რეფორმებს ადმინისტრაციის სისტემაში და კონსტიტუციის შემოღებას. თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა ამ დასს ოსმალეთში, ეს იქიდამაც ნათლად სჩანს რომ მიდჰად-ფაშა დიდ ვეზირად დაჰნიშნა იმ დროს ილდიზ-კიოსკმა და ბოლოს პარლამენტიც იყო მოწვეული სტამბოლში(შემდეგ გაუქმდა).

ოსმალეთის სომხობას, რაღა თქმა უნდა, უფლება აქვს თავის ეროვნული სახელმწიფო დაიარსოს და ძლიერაც მოსაწონი იყო მათი გულითადი თხოვნა ბერლინის კონგრესზე, — ვანის, არზრუმის და დიარბექირის ვილაიეტები შავ-ზღვის პირამდე „ავტონომიურ პროვინციად“ გაგვიხადეთ, „უთუოდ სომეხ გუბერნატორის“ სამთავროდაო.

ყოველივე ესე ძლიერ მოსაწონია, მაგრამ ზოგჯერ ავტონომიური ცხოვრებაც საზარალოა პატარა ერისათვის, რომელიც დიდის ერის კალთის ქვეშ არის მოქცეული, და აი, როდის: როდესაც პატარა ერს დიდი არ უხშობს ეროვნულ ვინაობას, თავისუფლად აცხოვრებს. ამ გვარ ვითარებაში პატარა ერი დიდს რომ მოსწყდეს და ცალკედ თავისუფალ ცხოვრებას დაადგეს, ამით არას მოიგებს და მხოლოდ საეკონომიო მოღვაწეობის ასპარეზს დაჰკარგავს.

გავითვალისწინოთ ახლა „ახალგაზდა ოსმალთა“ დასის პროგრამა, საადმინისტრაციო რეფორმები და კონსტიტუცია და მასთან ერთად მისწრაფება სომეხთ დასისა, რომელიც შესდგებოდა ფანატიკოსობით გამსჭვალულ სამღვდელოებისა და მდიდარ ბურჟუაზიის წარმომადგენელთაგან, და ვიკითხოთ: რა ანგარიშით ხელმძღვანელობდა ეს სომეხთა დასი, რომ მხარს არ აძლევდა „ახალგაზდა ოსმალთ“ დასს, არ უერთდებოდა „საერთო საქმის“ მოსაგვარად და პირ-იქით, „მისი წინააღმდეგი იყო, თუმცა ოსმალთ დასს არა ერთხელ მოუწადინებია მასთან შეერთება? ჩვენ შორიდამ დავიწყეთ, რათა უფრო დავახლოვებოდით ამ მეტად დიდ საგანს. ვინც საქმის არ ცოდნით „საერთო საქმეზე“ მღერის ბულბულივით და ფანტაზიორობაშია შესული, ამ კითხვას პასუხი გასცეს და ახსნას როგორმე, —რათაა რომ სომხობა საერთო ფედერაციის იდეას უფთხოდა? შოვინისტობა მაშ რასა ჰქვიან? ახლაც ხომ გადამტერებულია ეს ორი დასი და წინანდელი „ავტონომიური პროვინცია“ შავის ზღვის პირამდე გარდაიქცა ჩვენს დროში „დიდ სომხეთად“, რომელშიაც მოყოლებულია მცირე აზიის უდიდესი ნაწილი, სპარსეთის ჩრდილოეთი

ფელეტონი

სახალხო მასწავლებელი გერმანიაში *).

ამ რამდენისამე წლის წინად, როცა ბერლინში დიდის ამბით იდღესასწაულეს იმპერიის დაარსების იუბილე, გერმანიის ერთმა საუკეთესო სახალხო მასწავლებელთაგანმა დაჰბეჭდა ერთს ჟურნალში: „დადგა, თუ არა, დრო ლორდ Braugham-ის სიტყვების გამართლებისა, —სახალხო მასწავლებლის ანბანი ჯარის-კაცის ხიშტებსა სძლევსო? მოვესწრებით, თუ არა, იმ დროს, როცა სამხედრო მინისტრი თავაზიანად დაუთმობს პირველ ადგილს თავის სახალხო განათლების უწყების ამხანაგს? თუ ერის ცხოვრებას რაიმე განსაცდელი მოელის, იმ წამსვე სახალხო მასწავლებელს მიჰმართავენ, —მოგვეშველეო, მაგრამ გადივლებენ თუ არა თავზედ გასაჭირსა, სრულიად დაივიწყებენ, რომ ქვეყნის ძლიერება ხალხის განათლებაზეა დამყარებული“.

მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები დაიწერა, მარტო პრუსიაში სახალხო განათლების ხარჯმა 80 მილიონით იმატა, ასე რომ უკანასკნელ სტატისტიურ ცნობით 270,000,000 მარკამდე მიაღწია (125,000,000 მ.) ყოველ წლიურად, თუმცა მცხოვრებთა რიცხვი ერთიოთხად ნაკლებია, ვიდრე რუსეთში.

ქალაქებში სრულიად შესცვალეს სახალხო მასწავლებელთა ჯამაგირები: ახალგაზრდა მასწავლებელს 2,200—2,400 მარკამდე ეძლევა; ვისაც-კი 12 წლამდე მაინც უმსახურნია — 3,000-მდე და ზოგს მეტიც. მთელს სახელმწიფოში არსებობს საპენსიო სისტემა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს სკოლის მოღვაწეს ისე, როგორც ყოველ სხვა მოღვაწეს, და ანთავისუფლებს იმ მწარე მომავალზედ ფიქრისაგან, როცა მოხუცებულობისა, თუ ავადმყოფობის გამო დაუძლურდება, ან სრულიად გამოესალმება წუთი-სოფელსა და უპატრონოდ, ღვთის ანაბარად დასტოვებს ოჯახს.

სასკოლო პროგრამმები ბერლინს, დრეზდენსა და ლეიპციგს იმდენად სრულია, რომ შეიცავს უცხო ენებს, ვრცელს კურსს ისტორიისა, გეოგრაფიისა, კანონმცნებისა და სხ. სახალხო სკოლის კურსს, რომელიც თითქმის რეალურ პროგიმნაზიათა კურსს უდრის, რვა წელიწადს ასრულებენ. სასწავლებლის შენობები ჩვენს მოწაფეებს ნამდვილ სასახლედ ეჩვენებათ. რამდენიმე ათი მილიონი იხარჯება ყოველ წლობით დამატებითსა და სახელოსნო სკოლებზე, რომელნიც სავალდებულოა თითქმის საზოგადოდ მთელს იმპერიაში მოზარდ თაობისათვის 18 წლამდე.

მაგრამ მაინც ყოველის მხრივ გაისმის მასწავლებელთა ჩივილი, —ჩვენი შრომა ჯეროვანათ არ ფასდება, ხალხის მოთხოვნილებას ნახევრადაც ვერ ვაკმაყოფილებთ, განათლება სუსტათ ვრცელდებაო და სხვ. რასაკვირველია, ამ გვარი განცხადებანი სახელმწიფოს განვითარების პირობებს უნდა შეუფარდო და ისე განიხილო, იმ სახელმწიფო განათლებას, რომელიც, 100 წლის შემდეგ უკვე შეუდგა საყოველთაო სავალდებულო განათლებას და გაიჩინა მთელი ჯარი—150000 სახალხო მასწავლებელი

რაც რუსეთში „ელდორადო“-დ ჩაითვლებოდა, იქ უსამართლობად მიაჩნიათ: სწორედ ისე, როგორც გერმანელი მუშა დიდად უბედურად ჰრაცხს თავსა, თუ გაზეთის გამოწერის სალსარი არა აქვს, გერმანელი სახალხო მასწავლებელი დაჩაგრულად და შეურაცხყოფილად ჰგრძნობს თავსა, როცა მას ქონებრივად კანცელარიის მოხელეს უთანაბრებენ და არ აძლევენ ღონისძიებას განახორციელოს თავისი საზოგადოებრივი მოწოდება. ქალაქებში იგი უკვე მხარში ამოუდგა ინტელიგენციას, როგორც მისი თანასწორი წევრი, მაგრამ სოფლად ჯერ კიდევ გაჭირვებასა და დამცირებას ითმენს.

ამას წინად ქ. მაგდებურგში პრუსიის სახალხო მასწავლიბელთა კრება მოხდა, უფრო იმ აზრით, რომ გამოერკვიათ და რაიმე საღსარი გამოეძებნათ სოფლის მასწავლებელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. აღმოჩნდა, რომ პრუსიის აღმოსავლეთ პროვინციებში, სადაც მაიორატობაა და მსხვილი მემამულენი მკვიდრობენ, სოფლის მასწავლებელთა ქონებრივი მდგომარეობა უფრო შევიწროებულია, ვიდრე შუასა და დასავლეთ-პრუსიაში, სადაც უფრო წვრილი მემამულენი სჭარბობენ. მართალია, დასავლეთი ნაწილი პრუსიისა უფრო მდიდარი და განათლებულია, მაგრამ სკოლის მდგომარეობისა და სოციალ-ეკონომიურ ფაქტორთა კავშირი სოფლად, —ყოველ ეჭვს გარეშეა. მაგ., პომერანიის „იუნკრებმა“ (თავად-აზნაურებმა) საარაკო სიბრძნე გამოიჩინეს და 1897 წელს დამტკიცებული კანონი, —რომლის ძალითაც სახალხო მასწავლებელს, სულ უკანასკნელი, 900 მარკა მაინც უნდა დაენიშნოს ჯამაგირად, გარდა იმისა, რომ ყოველ სამის წლის შემდეგ 100 მარკა კიდევ უნდა მიემატოს ხოლმე ქირად—ისე განმარტეს, რომ ყოველი მასწავლებელი მხოლოდ ჯამაგირს უნდა დასჯერდესო; ამის გამო 1,692 მასწავლებელთაგან, რომელნიც ამ პროვინციაში მსახურობენ, 89 პროცენტს უმცირესი ჯამაგირი ეძლევა.

მაშინ, როდესაც საგუბერნიო ქალაქ შტეტინში სამოქალაქო სახალხო მასწავლებელი 2—3 ნახევარ ათას მარკამდე იღებს ჯამაგირს, მის ამხანაგს მაზრაში მხოლოდ იმის ნახევარი ეძლევა, თუმცა, გარდა ბინის ქირისა, ორთავეს ერთი და იგივე უჯდებათ ცხოვრება. იმ დროს, როცა პოზნანის სოფლელ მასწავლებელმა 1,300 — 1,400 მარკით უნდა არჩინოს ცოლ-შვილი, მისივე ვესტფალელი, ან რეინელი ამხანაგი 2,400 მარკას იღებს და შეუძლიან ადამიანურად იცხოვროს, შეიძინოს წიგნები, თუ სხვა ნივთები, რომ ოჯახი კულტურულად მოაწყოს. მაგდებურგის კრებაზე ერთმა აღმოსავლეთ-პრუსიის მასწავლებელთაგანმა მიმართა დამსწრეთ: „ამხანაგნო, თქვენა ჰკითხულობთ, თუ როგორ გამოგვაქვს თავი იმ სამოწყალო ჯამაგირით, რომელსაც ჩვენ ვიღებთ? დაჰხედეთ ჩვენის დედებისა და ქალების ხელებსა და თვითვე მიხვდებით. ვიღამაც უპასუხა, —არც ჩვენი ცოლები ზიან გულხელ დაკრეფილნიო, —მაგრამ იმ წამსვე ჩაჩუმდა, რადგან აუხსნეს, თუ როგორ მუშაობს აღმოსავლეთ-პრუსიის სოფლის მასწავლებლის დიასახლისი: როგორც ვიგინდარა მუშა დედაკაცი, განთიადიდგან მოყოლებული, დაღამებამდე ჯარასავით ტრიალებს; ასეთ ჯაფას ეწევა ის ადამიანი, რომელსაც კარგად ესმის, თუ რაა პოეზია, მუსიკა, უკითხავს წიგნები და სხ.

იმის შესახებ, რომ პრუსიის სოფლელ მასწავლებლის მდგომარეობა მართლა დამამცირებელია, კრინტიც არავის დაუძრავს, ყველასათვის ცხადი იყო. ამასთანავე ერთხმად გადასწყვიტეს, ბოლო მოუღონ იმ პატრიარქალურ ჩვეულებას, რომელიც მხოლოდ აღმოსავლეთ-პრუსიის განაპირა ადგილებში-ღა დარჩენილა—მასწავლებელი, უილაჯობის გამო, ხან მედავითნეს თანამდებობას ასრულებს და ხან საეკლესიო მეარღნეობას, რომ ორიოდე ფარას ჩამორჩეს. სხვა და სხვა აზრი გამოითქვა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა იქმნეს minimum-ი სოფლის მასწავლებლის ჯამაგირისა: „პრუსიის მასწავლებელთა კავშირის“ კომიტეტი თხოულობდა: თავდაპირველად, სამსახურის დაწყებისთანავე მასწავლებელს 1,200 მარკა უნდა დაენიშნოს (900 მ. მაგიერად), 300 მ.—ბინის ქირად და ცხრა ჯერ, — ყოველ სამის წლის სამსახურის შემდეგ,—150 მარკა კიდევ ზედმეტი უნდა ეძლიოსო. მაგრამ კრების დიდ უმეტესობას ეცოტავა ეს ჯამაგირი, დასასრულ როგორც იყო შეთანხმდნენ და დაადგინეს: 1350 მ.—პირველ ხანად, 300 მ. — ბინის ქირად და 150 მ.—ყოველ სამის წლის შემდეგ. ამგვარად სოფლის მასწავლებლის ჯამაგირი 3000 მარკამდე აღწევს (თითქმის 1400 მანათამდე). კრებამ ეს გარდაწყვეტილება აცნობა მთავრობასა და პარლამენტს რომელსაც 50,000 სოფლის მასწავლებელთა სახელით სთხოვს, რომ მათი შუამდგომლობა ახლო მომავალშივე დაკმაყოფილებულ იქმნას.

გერმანელ სახალხო მასწავლებლებს კარგად ესმით „კავშირთა“ მნიშვნელობა, რომელიც ყოველ დასობრივ და სარწმუნოებრივ განხეთქილების გარეშე—იგია მხოლოდ შემაერთებელი ძალა: დაცვა საზოგადოდ სკოლისა და მის მოღვაწეთა, რომელთაც სწადიანთ თვითაც ამაღლდნენ და ხალხის განათლებაც აღამაღლონ. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა გერმანიის საზოგადოებრივი წეს-წყობილება ძველს გზას ადგა, სახალხო მასწავლებელთ იმდენი მხნეობა გამოიჩინეს, რომ შესძლეს ადგილობრივი და საპროვინციო საზოგადოებათა დაარსება; რამდენი შრომა დ

---

*) იხ. Рус. Вѣд.

კუთხე და მთელი ამიერ-კავკასია ტფილისით სატახტო ქალაქად.

იქნება ვინმემ სთქვას, რომ საზღვარ გაღმა და გამოღმა სომხობას საერთო არა რა აქვს, გარდა ჩამომავლობისა და სარწმუნოებისა. სომხებს გააგონეთ ესა და ჰნახავთ, რა შეურაცხყოფად ჩამოგართმევენ ასეთ სიტყვას.

ვინც საერთო საქმისა და ერთობისათვის ჰღაღადებს, ჯერ სომხების მთავარ-შტაბს უნდა შეეკითხოს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ევროპაშია გასული. იქ მკვიდრდება ერთობა და კავშირი. რას აკეთებს იქ მთავარი შტაბი,—ეს ჩვენ პირველ წერილში აღვნიშნეთ და იქნება შემდეგშიაც მოგვიხდეს უფრო დაწვრილებით ლაპარაკი; სომხის ერს სახელს უკეთებს, არეკლამებს და გაცხარებულ პროპაგანდაშია „დიდ სომხეთზე", რომელსაც, მათის მეტად საფუძვლიანის ფიქრით (ამაში თუ სომხობას არავინ არ შეეცილა), ევროპა თავის დროზე დიდ ლოდათ ააგორებს შარა გზაზე, რუსეთიდგან მცირე აზიას და სპარსეთში მიმავალზე. ამის იმედი მით უფრო აქვთ, რომ ახლა ვეღარავინ ეტყვის ბისმარკივით,—თავისუფლებისათვის როდის დაგიღვრიათ სისხლი, რომ თავისუფლების ღირსნი იყოთო; ვერ იტყვის, რადგან სამასათას დახოცილ სომხის სისხლი თვალ-წინაა.

ა. კვერ—ძე.

ჩვენებური ამბები

სურამი. გაზაფხულის ნიშნები დაეტყო სურამსაც. ტყე და მინდორი ნელ-ნელა იმოსება მწვანით. დარებიც კარგი დგას. მცხოვრებლები ემზადებიან საავარაკო სეზონისათვის, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეაფიქრიანა. როგორც ვიცით, აგერ 9 წელიწადია, სურამში მოდის ყოველ ზაფხულს ჯარი, რომელსაც უჭირავს სახელმწიფო მიწები. ახლა ნამდვილად გავიგეთ, რომ ამ წლიდან ჯარი აღარ მოდის. მცხოვრებთა ერთი ნაწილი: სახლის პატრონები და მედუქნეები ძალიან სწუხან, ჩვენს ჯიბეს საგრძნობლად მოაკლდებაო. მეორენი-კი, გლეხ-კაცნი, მოხარულნი არიან... 9 წლის წინად, ჯარის მოსვლამდე, სახელმწიფო მიწები ამ გლეხებს ეჭირათ. ახლა ამ გლეხებს უხარიანთ, მიწებს ისევ ჩვენ დავიჭერთო. ჯარის სადგომები კიდეც მოშალეს და მიაქვთ.

ა—ნა.

ხევი. ყაზბეგში ამ ერთის თვის წინად გამოესალმა წუთი-სოფელს შეძლებული გლეხკაცი სვიმონ გიგაური. მისი სიკვდილი საიდუმლოებით არი მოცული დღესაც. როგორც შეძლებულ გლეხ-კაცს სიმონ გიგაურს მრავლად ჰყავდა შინაური საქონელი, წვრილ-ფეხი და სხვილ-ფეხი. ცხენის ჯოგი მდ. თერგის ნაპირას სძოვდა იმ ღამეს, რა ღამესაც ეს უბედურება დატრიალდა. თითონ გიგაურს კარში ეშალა ლოგინი და დრო-გამოშვებით დაჰხედავდა ხოლმე ჯოგს, რომ ან ნადირს, ან ავაზაკებს ზარალი არა მიეცათ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ყაზბეგის ახლო მდებარე, ასე სამი ვერსის მანძილზე, სოფელი გერგეთი ბუდეა ქურდებისა და გაიძვერა კაცებისა. გათენებისას შინაურებმა სვიმონის ლოგინი ცარიელი ნახეს. ეგონათ ცხენებს მიჰხედა თერგის ნაპირზეო, მაგრამ როდესაც ცხენები იქვე ახლო კარ-მიდამოში ნახეს, დაუწყეს ძახილი რომ წამოსულიყო უკან, სახლში, რადგანაც ცხენები სახლში მოსულიყვნენ. ეს ძახილი დარჩა „ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა". გავიდა ამასობაში ორი დღე. მაშინ-კი დაფაცურდნენ შინაურები და ბოქაულს აცნობეს: ბოქაულმა წაასხა კაცები და შეჰყვა მდინარის ნაპირს და ერთ ალაგას რაღაც ამოშვერილ საგანს წააწყდნენ წყალში. ეს გახლდათ ფეხი დამხრჩვალის გვამისა. მოაბეს თოკი, გამოიტანეს ნაპირას; იცნეს ის, ვისაც ეძებდნენ.

ბოქაულმა მაზრის უფროსს აცნობა და თან გამომძიებელი მოითხოვა. გამოძიებამ, რომელშიაც, გარდა გამომძიებლისა, მონაწილეობას იღებდა მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი მ. ჰონქაძე, აღმოაჩინა, რომ, სვიმონ გიგაური მტრის ხელით არის მოკლული და გადაგდებული წყალში ბოროტების კვალის დასამალავადაო. მკვლელის ვინაობაზე-ღა მიდგა საქმე. აქ ბ-ნმა ჰონქაძემ, როგორც კარგმა მცოდნემ გერგეთელების ავ-კაცობისამ, იმათ მიაშურა და უთხრა, რომ თუ მკვლელებს არ აღმოაჩენთ, მთელი სოფელი მიეცემით პასუხის გებაშიო. გერგეთლებმა უთხრეს, ჩვენ მოგცემთ ხელში საზოგადოდ მავნე წევრებს ჩვენის საზოგადოებისას, თუ პირობას დაგვიდებთ, რომ იმათ პრიგოვორით სამუდამოდ გააძევებთ ჩვენის სოფლიდანაო. ბ-ნმა ჰონქაძემ პირობა მისცა და იმათაც დაუსახელეს ოთხი კაცი: ერთი გერგეთელი, ერთი გველეთელი ქისტი და ორი ყაზბეგელი. ბ-ნმა ჰონქაძემ ის ოთხი კაცი შეჰკრა და წარუდგინა მაზრის უფროსს. ნამდვილ მკვლელის ფიცხელაურის სინიდისმა სწორედ ამ დროს გამოიღვიძა. გამოეცხადა მთავრობას და უთხრა, მე მიმეცით სამართალშიო. ჩემი მსხვერპლი დამნაშავეა მით, რომ მოვასწარ ჩემ ცოლთან, ვესროლე თოფი და ის-კი არ ვიცი, როგორ გადავარდა წყალშიო. მკვლელი შეიპყრეს და იმ ოთხ კაცს დააბრუნებენ თუ არა, ღმერთმა უწყის. თვით მკვლელის ფიცხელაურის შესახებ დღესაც ეჭვს აცხადებენ ყველანი და ამტკიცებენ, სულ სხვა მიზეზები იქნებოდა გიგაურის მოკვლისა და, არა ის, რომელიც მკვლელმა დაასახელაო.

დ. პავლიაშვილი.

რუსეთი

სატახტო ქალაქის გაზეთებში გამოცხადებულია ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორისაგან მიღებული შემდეგი უმაღლესი რესკრიპტი.

ჩვენის სახელმწიფოს განმტკიცებისათვის მზრუნველობის გამო, განვიზრახეთ სხვა-და-სხვა საშუალებათა შემოღება ფინლიანდიის დიდი სამთავროს იმპერიის ძირითად ნაწილებთან დასაკავშირებლად, ხოლო ამ საშუალებათა განხორციელებას თამამად წინააღუდგა ფინლიანდიის მკვიდრთა ერთი ნაწილი. ბოროტ-გამზრახველებმა პირმა, მშვიდობიანი ხალხის მთავრობის წინაამდეგ წასაქეზებლად, დაარღვიეს ცხოვრების მშვიდობიანი მსვლელობა და აშკარად ძალ-მომრეობა გამოიჩინეს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც თავის მოვალეობას ასრულებდნენ. ჩვეულებრივ დროს შერყეულ წესწყობილების აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა დამნაშავეთა განსამართლებით და კანონისაგან ნაჩვენებ საშუალებათა შემოღებით. დღეს-კი ეს საშუალებანი უსარგებლონი არიან, რადგან ზოგიერთი მოხელენი და განსაკუთრებით სასამართლო დაწესებულებანი, არამც თუ ხელს არ უწყობენ საზოგადო წესრიგის დაცვას, არამედ მათი მოქმედება—მავნე მაგალითია კანონის ურჩობისა. ფინლიანდიაში წესწყობილების აღსადგენად და მშვიდობის მსურველ ხალხის მავნე გავლენისაგან დასაცველად, ჩვენ კეთილად ვცანით დროებით, სამი წლის ვადით, მივანიჭოთ დიდი ფინლიანდიის სამთავროს მთავარ-გამგეობას განსაკუთრებული უფლებანი სახელმწიფო წესწყობილებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველად.

ქ. ვლადივოსტოკი. ეს ქალაქი უფრო მეტს ინტერესს წარმოადგენს, ვიდრე ციმბირის სხვა ქალაქები. ბუნებრივ სილამაზეს ვლადივოსტოკისას ხელს უწყობს ქონებრივი სიმდიდრე და აღებ-მიცემობა. მთაზედ შეფენილი ქალაქი ძირს სრუტეს გადაჰყურებს და ცოტა მოშორებით კიდევ ზღვას. ყრუ კუნძულები ზღვიდგან ქალაქს გამოსცქერიან და თითქოს უხმოდ ესაუბრებიან. აღმართიან ქუჩებით და გორაზედ გადმოკიდებულ სახლებით ვლადივოსტოკი რამდენადმე ჩვენს დედა-ქალაქს წააგავს. ეს არის, რომ ხეხილს შიგ ქალაქში იშვიათად შეხვდებით, ჰავაც ტფილისისებურია. მაგ. წელს მშვენივრად თბილა. იანვრის შუა რიცხვებიდგანვე აიღო თოვლი და ერთობ სასიამოვნო დარები დაიჭირა. ცოტა ეს თუ გვაძლებინებს გარდმოხვეწილთ ქართველთ და სამშობლოზე დარდს გვიქარვებს.

დიაღ, ლამაზია ვლადივოსტოკი ბუნებრივის მდებარეობით, განსაკუთრებით, როგორც ამბობენ, ზაფხულში, როდესაც მის გადასწვრივ ტყით შემოსილი კუნძულები ამწვანდებიან, მაშინ ნავოსნობაც დაიწყება და აუარებელი ხომალდები ასერ-დასერავენ მოკამკამე სრუტეს. ამ სილამაზეს ქალაქისას ევროპიული სახე და მოწყობილობა უფრო ამშვენებს. სახლები, მომეტებული წილი, თლილის ქვით და აგურით არიან ნაშენები; ქუჩები კიდევ სუფთად მოკირწყლული. აქ ძალიან იშვიათად შეხვდებით ერთ სართულიანს ხის სახლებს, როგორც ეს ხშირია ტომსკსა და ციმბირის სხვა ქალაქებში.

როგორც ნავთ-საყუდელ ქალაქში, ვლადივოსტოკში ვაჭრობა სდუღს და გადმოდის და ეს აღებ-მიცემობა აქ თავს უყრის მთელს მილეთს. აქ ნახავთ ჩინელს, იაპონელს, კორეელს, ევროპიელს და თითქმის ყველა ერის ხალხს. ქუჩები სავსეა აბრანძულ-გაქონილი და ულაზათო გრძელ თმა-ნაწნავიან ჩინელებით. დაბალ ტანისას, შავგვრემანს, ცხვირ გაჰყლეტილს და თვალებ-უსწოროს მას მთლად უსიცოცხლობის ფერი აძევს. ევროპის კულტურას ამ კონსერვატიზმის წარმომადგენლისათვის გულსაკლავი დაღი დაუსვამს; იშვიათად შეხვდებით მდიდრად გამოწყობილს ჩინელს; მომეტებული წილი მათგანი ღლიურად სცხოვრობს. ქუჩები სავსეა ამ ბოგანო ხალხით. ცხოვრებაში აქაც მეტს უნარს იაპონელები იჩენენ.

აღებ-მიცემობას ვლადივოსტოკში ცხოვრება მეტად გაუძვირებია. თუ მაგ. ტომსკში 20—25 მ. საკმარისია, აქ რომ იმგვარადვე შეინახოთ თავი 35—40 მანეთია საჭირო. ნამეტნავად ძვირია ოთახი. შუა ქალაქში ერთი კაცისთვის ოთახი უბრალო მოწყობილობით 15—20 მანეთად ფასობს. არც ჭამა-სმაა იაფი.

აქ ქართველებიც არიან. მათი რიცხვი 20-მდეა. ყველანი რიგიანად ვაჭრობენ.

ერთი უმაღლესი სასწავლებელიც ამშვენებს ვლადივოსტოკს: აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტი თავის მცირე-რიცხოვან სტუდენტობით (სულ 98 კაცია). ქართველი აქ ორნი ვსწავლობთ: თქვენი უმორჩილესი მონა და ერთიც ჩრდილელი, რომელმაც ქართული ენა არც-კი იცის*).

მოკლე ხანში აქაურს ქართველებს ქართული წირვა-გალობაც გველირსება. მღვდელი ვლ. იმერლიშვილი აპირობს ქართულ სასულიერო კონცერტის გამართვას და წირვაზედ გალობას, რისთვისაც ტფილისიდგან ნოტები კიდეც დაიბარა. იგივე მ. იმერლიშვილი ყოველ აღდგომა დღეს აქაურ ყოვლად-სამღვდელოს თხოვნით სახარებას ქართულად კითხულობს და მლოცველნი მუდამ აღტაცებაში მოჰყავს...

ამ ზაფხულს იაპონიაში გამოფენაა. აღმოსავლეთის ჟურნალ-გაზეთობა თავის კორესპონდენტებს ჰგზავნის. ყველას დიდად აინტერესებს იაპონიის, ამ „აღმოსავლეთურ ევროპის" გაცნობა. გამოფენის დათვალიერება აქაურთათვის ძვირად არ დაჯდება, რადგანაც ცხოვრებაც და მოგზაურობაც იაპონიაში უფრო იაფია, ვიდრე რუსეთში.

ვ. ლ.

უცხოეთი

ბულგარია. ამ დღეებში განთავისუფლდა საპყრობილედგან თავმჯდომარე მაკედონია-ადრიანოპოლის მთავარ-კომიტეტის, პროფესორი მიხაილოვსკი, რომელსაც დიდი თანხა მოსთხოვეს გირაოდ. მიხაილოვსკის განცხადება გაუკრავს სოფიის ყველა ქუჩაზე,—საჯარო ლექციას წავიკითხავ შემდეგს თემაზე: „როგორ მოვიქცეთ მაკედონიაში მყოფ რუსეთის დიპლომატთა ეხლანდელ საქციელის შესახებ." მაგრამ, როგორც სოფიის „დღიური" იუწყება, პოლიციას ჩამოუგლეჯია ეს განცხადებანი, შემორტყმია იმ შენობას, სადაც მიხაილოვსკის ლექცია უნდა წაეკითხნა, ბოქაული მარინოვი პოლიციელებით მისულა მიხაილოვსკის ბინაზე და გამოუცხადებია,—ქალაქის უფროსის ბრძანებისამებრ გიკრძალავთ მოქალაქეთა შეკრებასა და მაკედონიის შესახებ საჯარო ლექციის წაკითხვასაო.

ამის გამო მიხაილოვსკის მოლაპარაკება ჰქონია, მინისტრ-პრეზიდენტ დანევთან და, რაც მათ შორის მომხდარა, ყოველივე „დღიურის" რედაქციისათვის უცნობებია.

მიხაილოვსკი. ბ-ნო მინისტრო, თქვენა გნებავთ სრულიად შეჰკრათ მაკედონიის საზღვარი? კარგი და პატიოსანი! მაგრამ, როდესაც საზღვარს ჰკრავთ, რათა გნებავთ პირიც დაუხშოთ სოფელ და მოქალაქეთ?

დანევი. არა, ეგ მართალი არაა: მე არა მსურს ხმა ჩაგაწყვეტინოთ, მხოლოდ გთხოვთ ჯერ-ჯერობით გადასდოთ თქვენი ლექცია; ამას მიტომ ჩავდივარ, რომ მიმდინარე საქმეები მაიძულებს (ამასთანავე მინისტრ-პრეზიდენტმა დაწვრილებით განუმარტა მიხაილოვსკის ეხლანდელი ურთი-ერთობა რუსეთ-ბულგარიისა.)

მიხაილოვსკი. რუსეთის დიპლომატნი ბრალსა სდებენ ბულგარელ-მაკედონელ ,მკვიდრთა, ვითომ იგინი არღვევდნენ მშვიდობიანობასა და მყუდროებას რილის მთებს გადაღმა, ხოლო ოსმალეთის მოხელეთა შესახებ ხმასაც არ იღებენ. ამით-კი რუსეთის კონსულები აქეზებენ ხონთქარსა და დოლბანდოსან (чалма) ჯალათთა მაკედონელთა გასაჟლეტად. გარდა ამისა, რუსეთი სარგებლობს, რომ ბულგარიის მთავრობა რუსთა მოყვარეა, და ბულგარიის საწინააღმდეგო პოლიტიკას მისდევს: მაგალითად, რუსეთის კონსულები მაკედონიიდგან ისეთ მოხსენებას უგზავნიან თავის მთავრობას, რომ ბულგარელ საგარეო აგენტებისადმი ეჭვსა ჰბადებენ, რადგან პირდაპირ წამქეზებლობას აბრალებენ. დასასრულ, ბ-ნო მინისტრო, რუსეთის დიპლომატია ჩირქსა გვცხებს ჩვენ, მაკედონიის კომიტეტთა მეთაურებს,—ანუ უკეთა ვთქვათ, მაკედონიის საუკეთესო საზოგადო მოღვაწეთ,—როდესაც აცხადებს, ვითომ მათ მიტომა სწადიანთ მაკედონიის განთავისუფლება, რომ რაიმე დიდი თანამდებობა მიიღონ ახლად განთავისუფლებულ ქვეყანაშიო. განა ამ გარემოებას ცუდი შედეგი არ ექნება სამხრეთის სლავიანთათვის?

მინისტრი დანევი. როგორც-კი გავიგე ეს ამბავი, მაშინვე წინააღმდეგობა განვაცხადე. ამის გამო რუსეთიდგან მაცნობეს,—ყოველივე ეს კონსულთა გატაცების ბრალია, და შემდეგში აღარ განმეორდებაო. გარწმუნებთ, ბ-ნო მიხაილოვსკი, რომ ეს საქმე რიგიანად მოეწყო და მაკედონიაში მყოფი რუსეთის კონსულები ამიერიდგან აღარ გასცდებიან ზრდილობიანობისა და მართებულობის ფარგალს. ყოველ შემთხვევაში ცოტა ხანს კიდევ მოითმინეთ, და მაშინ, იმედი მაქვს, თვით დარწმუნდებით, რომ არ გატყუებთ.

მიხაილოვსკი. თქვენა ჰკისრულობთ თავმდებობას, რომ რუსეთის დიპლომატია ბულგართა შესახებ ნირს იცვლის?

მინისტრი დანევი. დიაღ, ვკისრულობ; და მხოლოდ მიტომ, რომ ასეთ თავმდებობას ვკისრულობ, გთხოვთ გადასდოთ თქვენი საჯარო ლექციის წაკითხვა.

მიხაილოვსკი. კარგი, გადავდებ ლექციის წაკითხვას, მხოლოდ ერთის პირობით: თუ თქვენი დაპირება არ გამართლდა, და მე და ჩემმა ამხანაგებმა გავიგეთ, რომ რუსეთის კონსულნი კვლავაც მტრულად მოეპყრობიან მაკედონიის ბულგართ,—დიდ ურილობას მოვახდენთ სოფიაში, რათა ბულგარიის მოძულეთა წინააღმდეგ პროტესტი განვაცხადოთ, ავუხილოთ საზოგადოებას თვალი და სიმართლე დავანახვოთ.

მინისტრი დანევი. სრულიად გეთანხმებით.

მიხაილოვსკი. ჯერ ჯერობით ნახვამდის. ოროდე კვირას კიდევ მოვითმენ!"

ოსმალეთი. სოლუნში ხმა ავრცელებულა, ძველ სერბიაში მყოფ ალბანელ მხედრობის შესაცვლელად მცირე აზიიდან გაწვეული ჯარები ხონთქრის ბრძანებით უკანვე დაბრუნდნენ, რადგან სტამბოლში მიიღეს ცნობა,—ალბანელნი დაშოშმინდნენო.

— ოსმალეთიდან იუწყებიან,—ბულგართა ჯგუფთნი დიდის სიმამაცით მოქმედობენო. გასულ შაბათს ენიჯის ვაკეზედ, სოლუნის მახლობლად ქალაქიდან დაინახეს ოცდა-ათამდე შეიარაღებული მეამბოხე. მათ შესაპყრობად ქალაქიდგან გავიდა ჟანდარმთა რაზმი; მეამბოხენი ჩაუსაფრდნენ და სეტყვასავით დაუშინეს ტყვია; ოსმალთა უფროსი ოფიცერი და რამდენიმე ჟანდარმი მძიმედ დასჭრეს. ოსმალნი შეშინდნენ და აირივნენ; ამასობაში მეამბოხეთ თავს უშველესო.

— პორტას მიუღია საიდუმლო ცნობა,—მაკედონიის კომიტეტნი სააღდგომოდ, აპრილის 6-ს, მაკედონიის სხვა-და სხვა კუთხეებში ასაჯანყებლად ემზადებიანო. სხვა ცნობებით—ამ დღეს მხოლოდ ხიდებისა და შენობების აფეთქებას შეეცდებიან და დემონსტრაციები გამართებაო. პორტა მოემზადა ამ მოქმედებათა თავიდან ასაცდენად და ბულგარიის ექსარხოსსაც სთხოვა,—დამეხმარე და როგორმე ხალხი დააშოშმინეო.

ნარკვევი

გაზ. „Нов. Обозр."-ს გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია თ. იოს. ლორთქიფანიძის წერილი, რომელშიაც ავტორი შეეხება ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსნის ბ. ვ. ჭილაძის მოხსენებას ქუთაისში ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნის შესახებ. ბ. ჭილაძე, სხვათა შორის, იმით ამტკიცებდა ახალი ბანკის გახსნის საჭიროებას, რომ ადგილობრივ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას, წესდების ძალით, არა აქვს უფლება მიიღოს გარეშე პირთაგან შემოტანილი ფული (вклады) და ფული ახლა უსარგებლოდ რჩებაო.

მართალია, ამბობს მ. ლორთქიფანიძე, ქუთ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას წესდების ძალით შეუძლიან მიიღოს მხოლოდ თავის წევრთაგან შემოტანილი ფული და აწარმოვოს ეს ფული სარგებლით უვადოთ, ვადით და მიმდინარე ანგარიშით სხვა-და-სხვა პირობებით. ეს ნაკლი ადვილად შეუძლიან შეავსოს ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ, თუ აღძრავს შუამდგომლობას ფინანსთა სამინისტროში. არ შეიძლება, რომ სამინისტრომ წინააღმდეგობა გაუწიოს ამ საქმეში, რადგან იგივე სამინისტროსაგან შედგენილი სამაგალითო წესდება ყველა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათ აძლევს ნებას მიიღონ გარეშე პირთაგან და დაწესებულებათაგან შემოტანილი ფული. ამნაირად ქუთაისის მკვიდრთ მიეცემათ საშუალება ადგილობრივ ბანკში შეიტანონ თავიანთი თავისუფალი თანხა, და ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას უფრო ფრცელი ასპარეზი ექნება მოქმედებისათვის.

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება, მართალია, ერთად ერთი საკრედი-

---

ჯაფა იყო საჭირო, რომ ამგვარი საზოგადოებანი ფეხზე დაეყენებინათ მეტტერნიხის რეაქციისა და ფრიდრიხ ვილჰელმ მე-IV პიეტიზმის დროსა. ყველა ადგილობრივი საზოგადოება 1871 წელს შეერთდა და ეწოდა „გერმანიის მასწავლებელთა კავშირი", რომელიც გერმანიის მასწავლებელთა წოდების უმთავრეს წარმომადგენლად შეიქნა. ეს „კავშირი" არამც თუ არ ერევა ადგილობრივ საზოგადოებათა მოქმედებაში, არამედ ხელს უწყობს და აცხოველმყოფელებს მათს დამოუკიდებელ, თავისუფალ მოქმედებას; სწორედ ისე, როგორც რეიხსტაგის ხალხის წარმომადგენლობა არ ეხება ქალაქთა და საზოგადოებათა ადგილობრივს თვითმართველობას, ეგრედვე „კავშირი" სრულს თავისუფლებას აძლევს მასწავლებელთა ადგილობრივ საზოგადოებათ; იგი მხოლოდ აფხიზლებს კანონმდებლობასა და საზოგადოებას, ხშირ-ხშირად მოაგონებს ხოლმე სახალხო სკოლის ავ-კარგსა, ექომაგება თავის წევრებს და გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ხალხის ცხოვრებასა და იმ მოვლენათ, რომელთაც რაიმე დამოკიდებულობა აქვს სახალხო სკოლასთან. შეუძლებელია სავსებით აღნუსხვა იმ სიკეთისა, რომელიც „კავშირმა" შესძინა სკოლასა და ბავშვებს. გავიხსენოთ მხოლოდ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში „კავშირი" თავგამოდებით იბრძოდა,—უნდა დავიფაროთ მოსწავლენი ზედ-მეტ მუშაობისაგან და ამის გამო მოქანცვისაგანაო, მედგრად შეებრძოლა ლოთობას, გამართა აგიტაცია, რომ მომატებულ იქმნას წლოვანობის რაოდენობა ახალგაზრდა დამნაშავეთათვის და სხ. თავის წევრთათვის ხომ „კავშირი" ისეთი დაწესებულებაა, რომლიდგანაც ყველა თავისუფლად სარგებლობს რჩევა-დარიგებითა და შემწეობა-დახმარებით.

„კავშირთან" არსებობს სახალხო მასწავლებლის უფლებათა დამცველი განსაკუთრებული ბიურო, რომელსაც საუკეთესო იურისტები ხელმძღვანელობენ. სასკოლო მუზეუმი, წიგნთ-საცავნი, დამზღვევი კასები, მომხმარეთა საზოგადოებანი, სნეულთა და უძლურთა თავშესაფარნი და მრავალი სხვა ამგვარი დაწესებულებანი მეტად უადვილებს სახალხო მასწავლებელს ცხოვრებას, ხელს უწყობს, რომ უფრო კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობა, ამაღლებს მის ადამიანურსა და მოქალაქობრივს ღირსებას. თუ სოფლის მასწავლებელს არ შეუძლიან ყოველ ჟამს ისარგებლოს წიგნთ-საცავითა და დაესწროს ხოლმე თავის საზოგადოების (კავშირის განყოფილების) კრებებს, სამაგიეროდ მოსდის მისი გამოცემული, ნაწარმოები და საუცხოო საკვირაო ჟურნალი „Pädag. Zeitung"-ს. არ აღიძვრის ისეთი საკითხი მასწავლებელთა, ანუ სკოლის ცხოვრებისა, რომელსაც შესაფერისი პასუხი არ გასცეს. მარტოხელა მასწავლებელი სრულიად მივარდნილ სოფელშიაც-კი უმწეოდ არა გრძნობს თავსა: დარწმუნებულია, რომ გაჭირვების დროს მიასარჩლე ჰყავს და უნუგეშოდ არ დააგდებს.

უეჭველია, გაგეგონებათ მექარხნეთა თქმულება: რაც მეტს გაიღებ შრომის ფასად, ის უფრო სარფაა როგორც მიმღებისათვის, ისე გამღებისათვისაო. მუშაკი, რომლის შრომაც ჯეროვანად ფასდება, უფრო მხნედ, ბეჯითად და კეთილ სინიდისიერად ასრულებს თავის საქმეს, ვიდრე შეუსაბამო ჯაფისაგან მოქანცული და ღონე-მიხდილი ბოგანო. იგივე ითქმის სოფლის მასწავლებლის შესახებაც. გერმანიის მაგალითი ცხადად გვიმტკიცებს, რომ მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობას თან მოჰყვა სკოლის აღორძინება და, მაშასადამე, ხალხის განათლების გავრცელება და გაძლიერება; ეს-კი იმას მოასწავებს, რომ სახელმწიფომაცა და საზოგადოებამაც ზედნადებით აინაზღაურა, რაც ამ საქმისათვის ოდესმე დაუხარჯავს.

ნახევრად მშიერი მასწავლებელი-კი იმასა ჰფიქრობს,—თუ ბავშვებს წერა-კითხვა შევასწავლე, ჩემი მოვალეობა მოხდილი მაქვსო; გარდა ამისა, სკოლაზე გული არ უდევს და, როგორც-კი სხვა სალსარი აღმოჩნდება, მასწავლებლობას თავს ანებებს.

მიეცით ღონისძიება, რომ ადამიანურად იცხოვროს და ისიც შეეცდება სულით და გულით მოეკიდოს თავის საქმეს, განიმსჭვალოს მის სიყვარულით, შეაშუქოს განათლების ლამპარი წყვდიადით მოცულ საზოგადოებაში; მაშინ არას დაიშურებს, რომ თვითაც განვითარდეს, წარმატების გზას დაადგეს და ხალხიც წინ წასწიოს, აღამაღლოს. გერმანიაში ხშირად ხდება, სახალხო მასწავლებელი, რამდენისამე წლის პრაქტიკის შემდეგ, უნივერსიტეტში შედის რამდენისამე თვით, ლექციებს ისმენს და მერმე ისევ თავის სკოლას უბრუნდება. ჩვენკი მოვესწრებით ოდესმე ამ გვარ მოვლენას? გერმანიაში გმირობას არ ავალებენ კაცსა და მიტომაა, რომ სახალხო განათლების კეთილის მყოფელნი დიდად მოწადინებულნი არიან, რათა განავითარონ საზოგადოდ და გონებრივად აღამაღლონ მასწავლებელნი, და ამისათვის უზრუნველ ჰყონ მათი სადა, მაგრამ კულტურულ მოთხოვნილებათა შესაფერი ცხოვრება.

ნ. ა.

---

*) აქაური ინსტიტუტის გაცნობა ჩვენს სემინარიელებს უეჭველია დიდად აინტერესებთ. ამაზე დაწვრილებით წერილს შემდეგ მოვიწერები.

ტო დაწესებულებაა ქუთაისში, მტკიცე საფუძველზე დგას და თავისი კლიენტების სარგებლობას უყურადღებოთ სტოვებს. იქ თანდათან ფესვს იკიდებს საქმის ერთფეროვანი მსვლელობა და უმოძრაობა, მაგრამ ამ ნაკლის მოშორება ადვილია, თუ ამ საქმეში დაინტერესებულ პირთა სურვილი იქნა.

ნარევი და ნაკვესი

სასამართლო ბავშვებისათვის. ნიუ-იორკის სამოსამართლო დაწესებულებას ახალი მისაბაძი განკარგულება მოუხდენიათ. რათა პატარა დამნაშავებს ხელი შეუწყონ, რომ თავიანთი დანაშაულობა შეანანიონ და ამასთან აცდინონ ყველა ის, რაც მათ ნორჩ და ფაქიზ ხასიათზედ მავნებლად იმოქმედებს, დააწესეს სასამართლო ბავშვებისათვის. ამ გონიერმა და კეთილ დაწესებულებამ ჯერ-ჯერობით კარგი ნაყოფი გამოიღო—ბევრი ახალგაზდა დამნაშავე დააყენა საკეთილო გზაზედ. დაიწყო თუ არა ახალმა სასამართლომ მოქმედება, მაშინვე მიჰმართა „ბავშვთა ულმობელად მოპყრობის საწინააღმდეგოდ დაარსებულ საზოგადოებას“, რათა მან ყურადღება იქონიოს, რომ პატარა დამნაშავეები დამით პოლიციაში არ დააპატიმრებინონ. დილით დამნაშავენი „ახალ სასამართლოში“ მიჰყავთ. სასამართლო საქმის გარჩევას დილის 10 ნახევარ საათზედ იწყებს. რკინის მოაჯირს იქით, ნახევრად ბნელ ოთახში, პატარა ტუსაღები სხედან, თავიანთ რიგს მოელიან და ოთახიდგან შემინებულ დამწყვდეულ ნადირებივით გამოიცქირებიან; სურთ, როგორმე თვალი მოჰკრან თავიანთ მშობლებს ან ნათესავებს, რომლებიც სასამართლოში საქმის მოსასმენლად მოსულან. აი, მსაჯულიც შემოვიდა და თავის ადგილზე დაჯდა. მოხელემ ბრძანების კილოთი ერთი პატარა დამნაშავე გამოიხმო. ოთახიდგან გამოდის პატარა ქალი, უცებ შეჩერდება, ოთახის სინათლეს იგი განცვიფრებაში მოჰყავს; მოხელე ადგილს უჩვენებს პატარა ქალს, რომელიც თავჩაღუნული, გაფითრებული ამ ადგილზედ ჯდება. ხალხში ერთი ხნიერი ქალი დგება და სურს, ქალს მიჰვარდეს, მაგრამ იქვე მის გვერდით მჯდომი კაცი მკაცრად შეაყენებს. საქმის გარჩევა იწყება. მსაჯული ბავშვს დიდის ალერსით ელაპარაკება და დარიგებას აძლევს. ამ ბავშვის დედ-მამანი მსაჯულს პირობას აძლევენ, დღეიდგან ჩვენს შვილს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ და გავუფრთხილდებით, რომ არაფერი დანაშაული არ ჩაიდინოსო. მსაჯული დამნაშავეს ანთავისუფლებს. მომეტებული ნაწილი დამნაშავეებისა მაშინვე შეინანიებს ხოლმე თავიანთ ცუდს საქციელს. მსაჯული ამისთანა დამნაშავეებს ნათესავებს გადასცემს ხოლმე, რასაკვირველია, უკეთუ დიდი დანაშაული არა აქვსრა ბავშვს.

—

სამის წლის დამნაშავე. გაზეთი „Сѣв. Зап. Сл.“ გადმოგვცემს: ერთს სამის წლის ბავშვს ღორის დაკვლისთვის უყურებია. დაუნახავს რა ბავშვს, როგორ დაჰკლა მისმა მამამ ეს ღორი, შესულა სახლში, აუღია დანა და თავის ძუძუმწოვარა ძმისთვის დაუწყვია ყელის გამოჭრა; ამ დროს ბავშვის პატრონები ღორის კეთებაში ყოფილან; საბედნიეროდ, ბავშვის დედა სახლში შემთხვევით შესულა და ყელ-გამოღადრული ბავშვი პატარა დამნაშავესათვის, რომელიც ძმის ტირილს ყურადღებას არ აქცევდა და დიდის გაშმაგებით სჭრიდა ყელს, ხელიდგან გამოუგლეჯია; ახირებული დამნაშავე დედას გასწყრომია და დანა მოუღერებია მისთვისაც, ხელი რად შემიშალეო.

—

ნაფიც მსაჯულის საჩივარი. მაზრის ექიმს დ. ჟილინს, რომელიც კრენენბურგში ნაფიც მსაჯულათ დაუნიშნავთ, პოლტავის ოლქის სასამართლოსთვის მიუმართნია შემდეგის შუამდგომლობით: ნაფიც მსაჯულისა და ჩემი მოვალეობა, როგორც სოფლის ექიმისა, ერთმანერთის შეუფერებელია, რადგან დიდი მაზრა მაბარია, ამასთან ამ მაზრაში ჩემს გარდა მეტი ექიმი არ არის და საზოგადოდ ექიმების ნაფიცმსაჯულობა კი რამდენსამე ავადმყოფს სიცოცხლეთ დაუჯდებათ. ამის მაგალითებიც მოუყვანია. ამისათვის სასამართლოს ვთხოვ ამ საპატიო მოვალეობისაგან გამანთავისუფლოსო. ბრალმდებლის ამხანაგს უთქვამს, კანონებში არსად არაა ნათქვამი, რომ ექიმები ნაფიც მსაჯულობისაგან განთავისუფლდნენ, ამისათვის ბ-ნ ჟილინს უარი უნდა ეთქვასო. ჟილინის თხოვნა სასამართლომ არ შეიწყნარა. ამაზედ ჟილინმა განაცხადა: ვემორჩილები სასამართლოს გადაწყვეტილებას, მხოლოდ ზნეობრივი პასუხის გება ავადმყოფების წინაშე თავიდგან ამიერია და სასამართლო იყვეს პასუხის მგებელი, თუ ჩემს ნაფიც მსაჯულებას რამდენიმე ჩემი ავადმყოფის სიკვდილი მოჰყვებაო. სასამართლოს თავჯდომარემ ექიმ ჟილინს შეჰნიშნა, სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვაში ნუ შედიხართო.

ექიმი ჟილინი ნაფიცმა მსაჯულებმა თავიანთ თავმჯდომარედ ამოირჩიეს.

ბიბლიოგრაფია

დიფტერიტი, ილია ალხაზიშვილისა. იაფ-ფასიანი გამოცემა სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სახსრით, ფასი 5 კ.

ამ ბოლოს დროს შეხვდებით ჩვენში თითოოროლა იაფ ფასიან სახალხო საექიმო წიგნაკებს. ამ გვარ წიგნაკების მნიშვნელობა და სარგებლობა ხალხისათვის დიდია, თუ წიგნაკები იქნება დაწერილი მდაბიო ენით და თვით საგანიც რიგიანად იქნება განმარტებული. პატარა სახალხო წიგნაკები, რომელთა დანიშნულება სხვა-და-სხვა პრაქტიკულ ცოდნის განმარტება და გავრცელებაა ხალხში, იმითაც სასარგებლო იქნება, რომ დაბალ ხალხს აღუძრავს ცნობის მოყვარეობას და კითხვასაც შეაჩვევს. ჩვენში ამ გარემოებას მით უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ხალხში უფრო გავრცელდება ქართულ ლიტერატურულ ენის ცოდნაც. ამისათვის უფრო საჭიროა არამცთუ საექიმო ცოდნის პოპულარიზაცია, საჭიროა პატარა წიგნაკების წყალობით გავრცელდეს ხალხში ყოველ გვარი ცოდნა. მხოლოდ ამისათვის ძლიერ საჭიროა ამ გვარი წიგნაკები ჯერ-ჯერობით უფასოთაც დაურიგდეს ხალხს, თუმცა ძლიერ ბევრი არც 5 კ. და 15 კ. დაიშურებს სასარგებლო წიგნაკისათვის.

ჩვენში ბევრი მიყრუებული კუთხეებია, როგორც აჭარა, სვანეთი, რაჭა, თუშეთი და სხვები, სადაც წერა-კითხვის სურვილი ნაკლებია. აი, ამ კუთხეებში გამომცემლებმა უნდა იგულონ რამდენიმე კაცი რომელთა შუამავლობით უფასოთაც–კი უნდა დაურიგონ ხალხს სახალხო წიგნაკები. ეს მოსაზრება მისთვის არის საყურადღებო, რომ ჩვენი ლიტერატურა ისევ დაბალ ხალხში უნდა ეძებდეს მკითხველს.

ჩვენის საზოგადოების შეძლებული ნაწილი ძლიერ ხშირად გაურბის ჩვენს მწერლობას, თითქმის თაკილობს და უცხოს ეტანება, თუმცა კარგად-კი უნდა ჰგრძნობდეს, რომ მშობლიური მწერლობა უფრო ახლობელი და საყვარელია და არც ისე უშინაარსოა და, თუ უშინაარსოა, ამის მიზეზია ქონებით უფრო დაწინაურებულ საზოგადოების გულგრილობა. რაც უნდა იყოს, მაინც ჩვენი მწერლობა არც ისე ღარიბია, რომ გზა-დაბნეულ საზოგადოებას საკმაო ზნეობრივი და გონებრივი საზრდო არ მისცეს.

ეს მოსაზრებანი მოგვივიდა ფიქრად ილ. ალხაზიშვილის სახალხო წიგნაკის გადათვალიერების შემდეგ. ამ წიგნაკში ვრცლად არის აღწერილი ავადმყოფობა დიფტერია, რომელსაც სხვა სახელებიც ჰქვია: ყელათმა, ხუნაგი, ყელჭირვება. (საექიმო ლიტერატურაში დიფტერიტის მაგივრად „დიფტერია“-ს ჰხმარობენ).

ეს წიგნაკი კარგა მოზრდილია, ძლიერ, ვრცლად არის გარჩეული ხუნაგის შესახებ დღევანდელი ცოდნა, ენაც ადვილი გასაგებია.

დიდად სასურველია, რომ ამ გვარი წიგნები ბლომად იბეჭდებოდეს და, შეძლებისა და გვარად, უფასოდაც ვრცელდებოდეს ხალხში. ამ გვარ წიგნაკებს ხალხი ძლიერ ეტანება.

ე. ვაშაკიძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 აპრილი.

მოსკოვი. ხუთშაბათს ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა მაცხოვრის ტაძარში და ემთხვია სტეფანე პერმელის ნაწილებსა.

11 აპრილს უმაღლესი აღლუმი იყო მოსკოვის მეციხოვანეთა ჯარისა: სათეატრო მოედანზედ დაეწყო 40 ბატალიონი ჯარი, ვოსკრესენსკის მოედანზედ—ორი პოლკი ცხენოსანთა ჯარისა, არტილერია 36 ზარბაზნით იდგა ჩინეთის გასავლის აყოლებად. მხედართმთავრობდა დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე. ჯარების წინ დაცემული იყო კარავი, რომელშიაც შებრძანდნენ დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის შვილები. მათნი უდიდებულესობანი მობრძანდნენ და, ნიშნად სიხარულისა, ასტყდა დიდი ხმაურობა ხალხისა. ხელმწიფე იმპერატორი შებრძანდა ცხენზედ, ხოლო ხელმწიფე იმპერატრიცა ჩაბძანდა ეტლში, რომელშიაც ოთხი ცხენი იყო შებმული წყვილ-წყვილად და ზედ ჟოკეები ისხდნენ. მხედრობის დათვალიერების შემდეგ, ჯარი დაეწყო საცერემონიალო მარშისათვის. ხელმწიფე იმპერატრიცა და მისი უავგუსტოესი და შებრძანდნენ კარავში. ჯარის წინ მიბრძანდებოდა დიდ მთავარი შტაბის თან-ხლებით; ქვეითმა ჯარმა გაიარა ბატალიონობით, არტილერიამ—დივიზიონობით და კავალერიამ—ესკადრონობით. ახალნი შეფნი: ხელმწიფე მემკვიდრე ცხენით მიუძღოდა როსტოვის პოლკს, ხოლო დიდი მთავარი—კიევისას. ყველა ჯარმა გაიგონეს შეფური „მადლობა“. აღტაცება ხალხისა, როცა მათნი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ კრემლს, გამოუთქმელი და აუწერელი იყო. მშვენიერი დარი ხელს უწყობდა სურათის შვენებას. პარადს შემდეგ კრემლის სასახლის ალექსანდრეს დარბაზში გაიმართა საუზმე. მიწვეულნი იყვნენ ხელმწიფის ამალა და სამხედრო მთავრობა. ექვსი სუფრა იყო გაშლილი.

საგანგებო მატარებლით ტვერს გაემართა ხელმწიფე-მემკვიდრე.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ფინანსთა მინისტრმა შეიტანა ბიუჯეტში ხარჯი 143.954,000 და შემოსავალი 154.770,000 გირვანქა სტერლინგი; რჩება 10.801,000. ამის გამო მინისტრი ურჩევს პალატას დაუკლონ შემოსავლის გადასახადს თირთმეტ პენსამდე გირვანქა სტერლინგზედ და გააუქმონ ხორბალზედ დადებული ბაჟი.

სტამბოლი. ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის დესპანები მიემხრნენ იმ სარჩიელს, რომელიც წარსულს პარასკევს წარუდგინეს ხონთქარს რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის დესპანებმა და რომელსაც მაშინვე მიემხრო გერმანია.

პარიჟი. ინგლისის რამდენმამე ბანკირმა გამოუცხადა მაროკოს სულთანს თანხმობა, გაურიგონ 7 ნახევარ მილიონ ფრანკის სესხი, რომელიც უნდა უზრუნველ ჰყოს დამოენის შემოსავალმა.

ბელგრადი. 9 აპრილს შეიარაღებული ალბანელები ორს ალაგს გამოვიდნენ საზღვარზე, მოჰკლეს სერბიელი დარაჯი და თავს დაეცნენ გლეხებს, რომელთაგან ორი მოჰკლეს. მთავრობამ აცნობა ეს პორტას, მით უმეტეს, რომ მოელიან საზღვარზედ ალბანელები სხვა თარეშობასაც.

12 აპრილი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბიუჯეტის გამო ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ სამხრეთ-აფრიკის და ჩინეთის ომებით გამოწვეული ხარჯი 207,000,000 გირვანქა სტერლინგამდე უწევსო. სახელმწიფო ვალი ამ ჟამად 770,778,000 გირვანქა სტერლინგია. მოსალოდნელია, რომ ჯარის შესანახი ხარჯი შემცირდება, თუმცა ძლიერი ფლოტი ინგლისისთვის არსებითის მნიშვნელობის საგანია; ბრიტანიის ფლოტი უნდა ძლიერდებოდეს, ვიდრე სხვა სახელმწიფონი თავის ფლოტს აძლიერებენ. მინისტრმა განაცხადა, რომ პურის ბაჟის გაუქმება მოჰხდება 18 (ივლისს).

სტამბოლი. მსოფლიო პატრიარქმა პორტას საჩივრით მიჰმართა იმის გამო, რომ ბოლგარიის მმართველობამ ფილიპოპოლში, ბურგასში, ვარნში და ანხიალში უკანონოთ დაიჩემეს საეკლესიო მამულებიო.—ილდიზ-კიოსკიმ, პორტამ და დიპლომატიურმა წრეებმა ხელახლა სთხოვეს ბოლგარიის ექსარხოს სამღვდელოების საშუალებით დააშოშმინოს და დააწყნაროს მაკედონიის კომიტეტი.

ბრომბერგი. უკანასკნელის ქარტეხილის გამო გერმანიის აღმოსავლეთ პროვინციებში 52 კაცი დაიღუპა

მოსკოვი. 10 აპრილს მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავარი და დიდი მთავრინა დაესწრნენ წარმოდგენას დიდს თეატრში. ერთ-ერთ ანტრაქტზე საზოგადოების მოთხოვნით ორკესტრმა ორჯელ შეასრულა საერო ჰიმნი.

პეტერბურგის ბირჟა, 11 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,45
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$98^{3}/_{8}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	$95^{3}/_{8}$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	437 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	298 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$91^{3}/_{4}$ გაყ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4125 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	400 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	201 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ისყიდება მამული

გორის უეზდში ს. **ნიაბაში** ვენახი 3 დესეტ. და სახნავი მიწა 2 დესეტ. და სოფ. **ჩოჩეთში** 3 დესეტ. მიწა. ვსთხოვთ წერილებით მიმართონ შემდეგის ადრესით: Петербургъ, Инженерная академія В. Пересвѣтъ-Солтанъ.

(3—95—1)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჰორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშნიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრ-ს დელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მგზავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჰორფლს და კანის ყოველსავე ძი[illegible]ბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, აშაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—14)

„GRAND PRIX“

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Махаровская сирень“

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავდმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება

ლ ე დ ი ჯ ე ნ

ჯემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად. (10—6—6)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ. 13 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.